ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5882780

ნომერი: AR1890954

თარიღი : 04.04.2022

გაცემის თარიღი : 19.04.2022

გაცნობის თარიღი : 19.04.2022

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა აბანო , N 2 , (ნაკვ. 63/002) ; ქალაქი თბილისი , ქუჩა აბანო , N 2;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი გამყრელიძე პ/ნ 01009016937
- თბილისი. ზ. ფალიაშვილის ქ 39 ბ19

ნომენკლატურა :

- მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები (ექსტერიერისა და ინტერიერის სარესტავრაციო, სარემონტო და გაწმენდის სამუშაოები)
- II კლასი
- ვადაგაუსვლელი
- მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: აბანო
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ირაკლი გამყრელიძე

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შ.პ.ს "ჭრელი აბანო"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 204543299
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: თეიმურაზ მამაცაშვილი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01030036274

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 5746908
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 18.01.2022

ქ.თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის კორექტირებული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ 2022 წლის 18 იანვრის №5746908 ბრძანებასა და მშენებლობის სანებართვო მოწმობაში მშენებლობის დასრულების თარიღში ცვლილების შეტანის შესახებ.

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2022 წლის 18 იანვრის №5746908 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში (სექტორი–ჩუღურეთი), აბანოს ქ. N2 (ნაკვეთი 63/002)/აბანოს ქ. N2-ში (ძეგლი) მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2022 წლის 18 იანვრიდან 2022 წლის 18 აპრილის ჩათვლით.

2022 წლის 04 აპრილის AR1890954 განცხადებით სამსახურს მომართა მოქ. ირაკლი გამყრელიძმ და მოითხოვა მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელების მიზნით 2022 წლის 18 იანვრის №5746908 ბრძანებაში მშენებლობის დასრულების თარიღში ცვლილებების განხორციელება.

სამსახურმა განაცხადის განხილვის შედეგად გადაწყვიტა, რომ მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად.

გადაწყვეტილება

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 18 იანვრის №5746908 ბრძანებასა და სანებართვო მოწმობაში, კერძოდ: ჩანაწერი „მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2022 წლის 18 იანვრიდან 2022 წლის 18 აპრილის ჩათვლით;" შეიცვალოს ,, ნებართვა ძალაშია 2022 წლის 19 აპრილიდან 2022 წლის 19 ივლისის ჩათვლით'';
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მერიის სსიპ ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 18 იანვრის №5746908 ბრძანებასთან ერთად;

- სამშენებლო დოკუმენტის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს. სამსახური პასუხისმგებელია მხოლოდ მის მიერ დამოწმებული დოკუმენტების კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე.

- თუ ნაწარმოები სამშენებლო სამუშაოები არ შეესაბამება სანებართვო დოკუმენტაციას, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო დამრღვევის მიმართ გაატარებს პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსით განსაზღვრულ ღონისძიებას.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.